სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-45 §1

04 09 2017 წ.

გორი

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (04.09.2017, N1011629) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (04.09.2017, N1010948) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის/შიდა მობილობისა და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2017 წლის 19 ივლისის N1-36 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5^1 და მე-5^2 პუნქტები:

„5^1. უნივერსიტეტის ერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამიდან საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (შიდა მობილობა) მსურველი სტუდენტი ვალდებულია განცხადება რექტორის სახელზე წარმოადგინოს 2017 წლის 05 სექტემბრიდან - 2017 წლის 08 სექტემბრის ჩათვლით;

5^2. სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ მისი კრედიტების აღიარების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, ვალდებულია საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით თანხმობა/უარი განაცხადოს არაუგვიანეს 2017 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით;"

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობისთვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილები განისაზღვროს 10 სტუდენტით;

3. ეს ბრძანება განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს სასწავლო უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი ხუციშვილი